

მ ა რ დ გ ნ ი მ ს ი

ო ფ ი ც ი ა ლ შ რ ი 6 1 7 0 ლ ი.

უბალლესი სახელდებული ბრძანება უმართება-
ლესის სენატის მიმართ

იმ კომიტეტის დაარსების უქახებ, რომელმაც უნდა განი-
ხილოს უმაღლეს ჯილდოზედ წარდგენილებანი.

ჩვენდა ყურად სალებოდ წარმოდგენილ ჯილ-
დოთა საქმეთავან დაენახეთ რა სხვა-და-სხვაობა ჯილ-
დოთა წარდგენილების წესისა, რაც ხელს უშლის
ჯილდოთა მექანიზმი - დებულებათა
მოხმარების ჯეროვანს ერთობას, და მივიღეთ რა
მხედველობასა მინა ჩვენსა, რომ მინისტრთა კომი-
ტეტს, რომელიც სახელმწიფოს უმაღლესის გამგეო-
ბის საქმეებს აწარმოებს, არ უნდა ჰქონდეს განვე-
ლებული შრომა ჯილდოთა საქმეების განხილვით,
რადგან ამას საგანგებო სახელმწიფო მნიშვნელობა
არა აქვს, საკეთილოდ ვსკანით ჯილდოთა საქმე
მიერანდოთ ერთს განსაკუთრებულს დაწესებულებას,
რომელსაც ეწოდება «უმაღლესს ჯილდოზედ წარ-
დგენილებათა განმხილველი კომიტეტი» და შემდეგის
საფუძველით იმოქმედდება:

1) ამა კომიტეტის თავმჯდომარედ უნდა იყოს
რუსეთის საიმპერატორო და სამეფო ორიენტა კანც-
ლერი, წევრად ითვლებოდეს ჩვენის საკუთარის კან-
ცლერის გამგე-მმართველი და ოთხეული სხვა წევრი
უნდა იყოს, რომელიც დანიშნულ იქმნებიან ჩვენის
ნებისამებრ უმართებელების სენატის მიმართ მიწერილ
ბრძანებით.

2) ყოველივე წარდგენილება, როგორც წეს-
რიგის თანახმად, აგრეთვე წეს-რიგ გარეშეც, იმის
შესახებ, რომ დაჯილდოებულ იქმნას ეინმე ჩინით
წარჩინებულ სამსახურისათვის, ორდენითა და მედა-
ლით, ჩვენის წყალობითა და საჩუქრებით, მინისტ-
რებმა და ცალკე ნაწილთა მთავარ-მმართველთ სეს-
ნებულს კომიტეტში უნდა წარადგინონ.

3) ამ არსებული წესი ჯილდოზედ წარდგენი-
ლობისა დაცულ იქმნება მხოლოდ იმ მხრივ, თუ
ორდენი უნდა ეწყალობოს ვისმე წესდებულებით, ან
სამსახურის წელთა შესრულების გამო და აგრეთვე
თუ დასაჯილდოებელნი არიან: ა) სასულიერო წო-
დების პირი; ბ) პირი სამხედრო წოდებისანი და
ზღვათა უწყებისანი, თუ ნამდვილად ჰქონდებო
სამხედრო ანუ ზღვათა უწყებაში, და გ) ის სხვა
ქვეყნის, რომელიც რუსეთში არა ჰქონდებონ.

და 4) ამ შესადგენ კომიტეტის დარსებით: ა) შეცვლილ იქმნება ჯილდოზედ წარდგენილების წესი, რომლითაც მინისტრთა კომიტეტის უწყებაში იყო ეს
საქმე, და ბ) გაუქმდებულ იქმნება მუდმივი ჯილდოთა
კომიტეტი, ჩვენს საკუთარის კანცლერისათვის არსებუ-
ლი, ისე კი, რომ უმაღლესთა პირთა და სხვა-და-
სხვა საქველ-მოქმედი საზოგადოებათა და სასარგებ-
ლო დაწესებულებათა შუამდგომელობანი, რომ და-
ჯილდოებულ იქმნას მოსამსახურები მათდა ქვემდე-
ბარე დაწესებულებათა, რომელთა გამგეობა პირდაპირ
არც შინაგან საქეთა სამინისტროს ხელშია და არც
სხვა კერძო უწყების ხელში, უწინდელებრ ჩვენის
საკუთარის კანცლერის გამგე-მმართველს უნდა
გარდაეცეს და მან უნდა წარადგინოს სესენბულნი
შუამდგომელობანი უმაღლესს ჯილდოზედ წარდგე-
ნილებათა განმხილველს კომიტეტში.

დასაარსებელ კომიტეტის საქმეთა წარმოება ჩვე-
ნის საკუთარის კანცლერისათვის მიგვინდეთა.

უმართებელებსმა სენატმა ჯეროვანი განკარგუ-
ლება გასცეს ამა ჩვენისა ბრძანებისა აღსასრულებლად.

ნამდგილს საკუთარის მისის იმპერატორებითის

უდიდებელებობის ხელით აწერია:

„აღმქსანდრე“.

ს.-პეტერბურგს.

27 თებერვალს 1892 წ.

ბრძანება მისის იმპერატორებითის უდიდებულესობისა, სრულიად რესეტის თვით-მშერობელისა, უწ. სინოდისაგან,

იმ წესის შეცვლის გამო, რა წესითაც უნდა სწარმოებდეს მიწერ-მოწერა სათადარიგო ჯარიდებან იმ პირთა გამო-რიცხვის შესახებ; რომელიც ლირს იქმნენ მღვდლად ხელ-დასხმისა და მონაზენად აღკვეცის შესახებ, რომელიც სათადარიგო ჯარში იმყოფებიან. ბრძანების: რადგან უწმიდესს სინოდში საქმაოდ ბერი საქმე შემოდის იმ სათარი-გო ჯარში იმყოფებიან, და იმ აზრით, რომ ამ საქ-მეთა გადაწყვეტა აჩქარებულ იქმნეს მიწერ-მოწერის შემცირებით, უწმ. სინოდმა შესაძლებელად დაინახა ბ-ნს სინოდის ობერ-პროკურორის მიანდოს ყოველივე მიწერ-მოწერა ჯეროვნ უწყებებთან მღვდლად ხელ-დასასხმელთა და მონაზენად ასაღვეცელთ სათარიგო ჯარიდებან გამორიცხვის გამო, ამ საქმის სინოდში გამოუცხადებლად, და ამიტომ ცირკულიარული ბრძა-ნებით გამოცხადეს სასულიერო უწყებაში, რომ ხსენებული წარდგენილებანი, უწმ. სინოდს-კი არა, პირდაპირ სინოდის ობერ-პროკურორს გაუგზავნონ.

1891 წელსა დეკემბრის 31 დღესა.

ბრძანება მისის იმპერატორებითის უდიდებულესობისა, სრულიად რესეტის თვით-მშერობელისა უწ. უმართებელესის სინოდისაგან.

არა სამსახურის წარჩინებისათვის ჯილდოზედ წარდგენის საქმის შესახებ.

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის უწყებისამებრ, უწმიდესმა უმართებელესმა სინოდმა მოისმინა ეპარქიის მღვდლელ-მთავართა და ზღვათა სამხედრო სამღვდლელობის უფროსის მღვდლის წარდგენილებანი, რომ დაჯილდოებულ იქმნაონ სა-სულიერო და საერთო წარდგენილების მიღებისას, რომელიც კანონი თხოულობს; ჰილან მხოლოდ ჯილდოთა ნუსხას, ხოლო ვაჭრების შესახებ კი სწერენ, რომ რადგანაც ესენი სახელმწიფო სამსახურში არ იმყოფებიან, არც ფორმულიარულ ნუსხა აქვთო. ამგვარადვე, როდესაც ჯილდოზედ წარმოადგენენ ხოლმე ეკკლესიის მნათებსა და სა-სულიერო დაწესებულებათა სასარგებლოდ უმწირ-ველთ, ყოველთვის არ ასრულებენ სისწორით როგორც 1876 წელს გამოცემულს სამსახურის უფლებათა წესდების მე-III ტ. მე-681 მუხ. მოთხოვნილებას, რომელიც აღკრძალავს, რომ ჯილდოს მისაღებად არ უნდა იქმნენ წარდგენილი, თუ სამს წელიწადს არ გაუვლია უკანასკნელ ჯილდოს მიღების შემდე-გათ, აგრეთვე მოთხოვნილებასავე სინოდის 1864 წ. 23 ოქტომბრისა და 1884 წ. 6 დეკემბრის ბრძანე-ბას, რომლის ძალითაც წარმოადგენილ ჯილდოთა ნუსხაში აღნიშნული უნდა იყოს უკელა წინადელი ჯილდო, თუ ჯილდოზედ წარდგენილთა აქვთ, და ნაჩვენებიც, თუ რომელს წელიწადსა, თოვესა და

ხარისხის ორდენით, ამა თრდენის წესდებულების თანახვად. ბრძანების სინოდის 1868 წ. 15 იან-ვრის № 1 ცარკულიარული ბრძანების საფუძველით, წარდგენილებანი წმ. ანნის მე 3 ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ უწმიდესს სინოდში უნდა შეტანილ იყოს 15 სექტემბრამდე. ხოდო როცა ეს წარდგენილებანი გადაეცემა წმ. ანნას ორდენის კა-ვალერიის საბჭოს, ორდენთა დაწესებულების 1876 წელს გამოცემულის წესდ. I ტ. მე-518 და 567 მუხ. მოთხოვნილების თანახმად, მასთან ავეუ უნდა გარდაეცეს დასაჯილდოებელ პირთა, თუ სამსახურიდებან გადამდგარი არ არიან, საფორმულიარო ნუსხა, ხოლო სამსახურიდებან გადამდგართა-კო—ჯეროვანად შემოწმობული პირი მოწმობისა, ანუ სამსახურიდებან გადადგომის ბრძანებანი; ამას გარდა, კავალერიის საბჭო თხოულობს იმ პირთა საფორმულიარო ნუსხა-საცა-კი, რომელიც სამსახურში არც ყოფილან და არც არიან, როგორც, მაგალითებრ, ვაჭარნი, და თუ ვინიცობაა არ მიუვიდათ საფორმულიარო ნუსხა, ჯილდოზედ უარს ეცნება. ამასობაში ბერი ეპარქიის მღვდლელ-მთავართა წესდებულე-ბისამებრ დაჯილდოების შესახებ წარდგენილებას ჰეზავნიან უწმიდესს სინოდში არა ამისათვის დაწე-სებულს დროსა და ვადაზედ და ყოველთვის არ ადვე-ნებენ თან ჯილდოზედ წარდგენილთა ფორმულია-რულ ნუსხას, როგორც კანონი თხოულობს; ჰეზავნიან მხოლოდ ჯილდოთა ნუსხას, ხოლო ვაჭრების შესახებ კი სწერენ, რომ რადგანაც ესენი სახელმწიფო სამსახურში არ იმყოფებიან, არც ფორმულიარულ ნუსხა აქვთო. ამგვარადვე, როდესაც ჯილდოზედ წარმოადგენენ ხოლმე ეკკლესიის მნათებსა და სა-სულიერო დაწესებულებათა სასარგებლოდ უმწირ-ველთ, ყოველთვის არ ასრულებენ სისწორით როგორც 1876 წელს გამოცემულს სამსახურის უფლებათა წესდების მე-III ტ. მე-681 მუხ. მოთხოვნილებას, რომელიც აღკრძალავს, რომ ჯილდოს მისაღებად არ უნდა იქმნენ წარდგენილი, თუ სამს წელიწადს არ გაუვლია უკანასკნელ ჯილდოს მიღების შემდე-გათ, აგრეთვე მოთხოვნილებასავე სინოდის 1864 წ. 23 ოქტომბრისა და 1884 წ. 6 დეკემბრის ბრძანე-ბას, რომლის ძალითაც წარმოადგენილ ჯილდოთა ნუსხაში აღნიშნული უნდა იყოს უკელა წინადელი ჯილდო, თუ ჯილდოზედ წარდგენილთა აქვთ, და ნაჩვენებიც, თუ რომელს წელიწადსა, თოვესა და

რიცხვს მიუღიათ ესა თუ ის ჯილდო, და თუ მედალი აქვთ ნაბოძები, რომლის ლენტით არის და გულზედ საკიდია თუ ყელზედ. ყოველივე აღნიშნული ნაკლებულობა კონსისტორიათა მიერ წარმოდგნილ ქაღალდებისა უწმიდესს სინოდს იძულებულ ჰყოფს გარდამეტებული მიწერ-მოწერა გაპმართოს და აგვიანებს საეპარქიო ყოვლად უსამღვდელოებო-ბათა შუამდგომელობის დროზედ გადაწყვეტის საჭმეს.

მერმაში ამის ასაცილებლად უწმიდესი სინოდი საჭიროდ ჰქონდის; 1) განუმეოროს და მოაგონოს ეპარქიის მღვდელ-მთავართა სინოდის 1868 წლის 15 იანვრის № 1 საცირკულიარო ბრძანების მოთხოვნილება უწმიდესს სინოდში წესდებულებისა-მებრ დასაჯილდოებლად წარდგენილებითა შემოტანის ვადის შესახებ; 2) მისწეროს მათვე, რომ: ა) ასეთ წარდგენილებითა გამოვზარნის დროს უეჭველად თან გამოადევნონ მოსამსახურე პირთა და აგრძოვე გა-ჭართა ფორმულიარულ ნუსხა, იმ წესისამებრ შედგენილი, როგორც აღნიშნულია სამსახურის უფლებათა წესდების მე-III ტ. მე-779 მუხლის დამატებაში, ხოლო თუ სამსახურიდგან გადამდგარნი არიან — ჯეროვანად შემოწმებული პირი მოწმობისა, ანუ სამსახურიდგან გადადგომის ბრძანებისა; ბ) იმ სამსახურის განგვიპის დროს, რომელიც გაუწევიათ საეკულესიო მნათებება და სასულიერო დაწესებულებათა სასაჩვებლოდ შე-მომწირველო, უნაკლულოდ იხელმძღვანელონ მშავე ტ. მე-681 მუხ. მოთხოვნილებით და ამ მოთხოვნი-ლებას მხოლოდ იშვიათს შემთხვევაში გადასცდენ, როცა სამსახური არა-ჩევეულებრივია, მაგალითებრ, თუ დიდი ქონებაა შეწირული, და გ) როდესაც უწ. სინოდში წარმოადგენენ ხოლმე შუამდგომელობას არა სამსახურის წარჩინებისათვის დაჯილდოების შე-სახებ, თანავე წარმოადგენონ ჯილდოთა ნუსხა ჯილ-დოზედ წარმოადგენილთა იმ ნიმუშისამებრ, როგორიც გაეგზავნათ სინოდის 1864 წ. 23 ოქტომბრისა და 1874 წ. 6 დეკემბრის ცირკულიარულ ბრძ.ნე-ბისთან ერთად და ამ ნუსხაში უნაკლულოდ აღნიშ-ნონ ყველა ჯილდოზედ წარდგენილთა მიერ მიღ-ბული ჯილდო, ნაჩვენები იყოს წელიწადი, ი.თვე და რიცხვი, და თუ მედალი მიუღიათ, რომელი, ვერც-ლისა, თუ ოქტომბერი, როგორის ლენტით და ყელზედ საკიდია, თუ გულზედ, და ყოველ ამისათვის,

შესაფერ განკარგულებათა მოსახლეობად და აღსასრუ-ლებლად ეპარქიის მღვდელ-მთავართ ვალეზანოს დაბჭებილი ცირკულიარული ბრძანებანი. 1891 წელსა დეკემბრის 3-სა დღესა.

უწმიდესის სინოდის განკარგულება.

12—21 თებერვლისა 1892 წლისა, № 425, იმ წესის დადგენის შესახებ, რა წესითაც უნდა იდდესასწაულონ სამრევლო - საეკულესიო სას-წაულებელთა მოსწავლეებმა ადგილობრივ ეპ-კლესიათა დღეობანი.

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ბრძანებისამებრ, უწმიდესმა და უმართებელესმა სინოდმა მოისმინა: უწმიდესს სინოდთან დააჩინებულ სამოს-წაულო საბჭოს თავმჯდომარეს მიერ ამა წლის 4 თებერ-ვალს მე-195 №-ით წარმოადგენილ ეურჩალი საბჭოს მე-35 №-ით იმ წესის შესახებ, თუ რა წესით უნდა იდლე-სასწაულონ სამრევლო-საეკულესიო სასწავლებელთა მოსწავლეებმა ადგილობრივ ეკულესიათა დღეობანი. ჰ ბ რ ძ ა ნ ე ს: აუცილებელ საჭიროდ სცნო რა განა-წესიეროს ავგილობრივ ეკულესიათა დღესასწაულო-ბანი, უწმიდესმა სინოდმა, სინოდთან დააჩინ-ებულ სამოსწაულო საბჭოს აზრის თანახმად, ამ საგნის გამო შემდეგი წესი დაადგინა: 1) შეუმცირდეს და საეკულესიო დღეობა სამრევლო-საეკულესიო სას-წავლებლებმა მხოლოდ ორს დღეს იუმონ, ისე კი, რომ მესამე დღეს საეკულესიო-სამრევლო სასწავლებ-ლებში უეჭველად დაიწყოს ხოლმე ჩეეულებრივი სწავლა; 2) ოვით ეკულესის დღეობა დღეს ლიტურ-გიის შემდეგ სამრევლო-საეკულესიო სასწავლებელში იმ ხატის წინაშე, რომლის დღესასწაულიც არის, პარაკლისი გადაიხადონ, რომელსაც მასწავლებელნი და სასწავლებლის ყველა მოსწავლენი უნდა დაისწრ-ნენ; თუ სამრევლო-საეკულესიო სასწავლებელი შორს იმყოფება ხოთვლის სამრევლო ეკულესიდვან, ამჟღმ-თხვევაში პარაკლისი მაშინ უნდა გადაიხადონ, როდე-საც ეკულესის კრებული სოფელში მიეა ააზმის სახდელად, რომელსც ჩეეულებრივ გადაიხდიან ხოლმე ეკულესის დღესასწაულის გამო; 3) ეკულესის დღე-სასწაულის იმავე პირველს დღეს ნახადილებს მას-

წავლენი უნდა შეიკრიბენ სასწავლებელში, მასწავლებელმა დარიგება უნდა წაუკითხეს, შემდაგ საერთოდ საეკლესიო საგალობელი უნდა სთქვან და მერე, სადაც შესაძლებელია, სასწავლებლის მზრუნველობა და გამგეთ ყმაწვილებს წიგნები და სხვა საჩუქრები უნდა დაუტირონ; 4) ეკულესის დღესას. წაულის მეორე დღეს მოსწავლენი უნდა განთავისუფლებულ იქმნან ჩვეულებრივ სწავლისაგან სადოლობაში, ნახადილებს-კი კულავ შეიკარინენ სასწავლებლში, დრო კითხვა-გალობით გაატარონ და აგრძელე, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, გარედომაშობან გაპრატონ, და 5) სამრევლო-საეკლესიო სასწავლებელთა მასწავლებელნი თავისის ეკვლებით დღესასწაულს დღეებში დროებით არ უნდა იქმნონ დათხოვნილი. ეს ბრძანება სასულიერო უწყების სახელმძღვანელოდ და მის მიერ აღსასრულებლად «საეკლესიო უწყებაზე» დაიბეჭდოს.

უმაღლესი სახელ-დებული ბრძანებანი: უმართებულესის სენატის მამართ.

28.-სა რიცხვა ამა წლის თებერვლისას მეუღლე მისის იმპერატორებითის უმაღლესობისა დიდის მთავრის პეტრე ნიკოლოზის ძისა, მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავრინა მილიცა ნიკოლოზის ასული განთავისუფლდა ფეხმიმიობისაგან და დაებალა ქალი მარინე წოდებული.

ეგბრძანებთ უმართებელებს სენატს, განკარგულება მოახდინს, რომ ეს ახლად დაბადებული, საიმპერატორო გვარეულობის კრისტიანი, მისი კუთვნილ სარისხისამებრ, როგორც იმპერატორის შეიღილება, უკველ საქმეში, სადაც რიგი არს; უმაღლესობად იქმნას წოდებულ და სენებულ.

ნამდვილს საკუთარის მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელით აწერია:

„აღექსანდრე“.

ს.-პეტერბურგს.
22 ოქტომბერი 1892 წ.

რესეტის საიმპერატორო და სამეფო ორდენების განვითარების მიმართ.

ზოგიერთ ნაპოებ ორდენთა სიგვალების მიცემის წესის შეცვლის შესახებ.

ორდენთა და სხვა წარჩინებისა ნიშანთა დაწესებულების კანონთა კრებულის (გამოც. 1876 წ.)

პირველ ტომის მე-175 მუხ. ძალით, ჩვენის ორდენებისა: წმ. მოციქულის აღდრია პირველ-წოდებულისა, წმ. ალექსანდრე ნეველისა, თეთრის არწივისა, წმ. დიდი მოწამისა და ძლევა-მოსილის გიორგისა პირველისა და მეორე ხარისხისა, წმ. მოციქულთა სწორის თ. ვლადიმირისა პირველ და მეორე ხარისხისა-ნისა, წმ. ანასი პირველ ხარისხისა და წმ. სტანისლავისა პირველ ხარისხისა, აგრეთვე, უცხ უკვეყნელთათის, წმ. სტანისლავისავე მეორე ხარისხისა გარს-კვლავითურთ.

აწ, მიერჩით რა კეთილად სსენებულ წესის შეცვლა, გიბრძანებთ:

1) თუ ნაბოძებია ორდენი: წმ. მოციქ. ანდრია პირველ-წოდებულისა, წმ. ალექსანდრე ნეველისა, წმ. დიდი მოწამისა და ძლევა-მოსილის გიორგისა პირველ და მეორე ხარისხისა და წმ. მოციქულთა სწორის თ. ვლადიმირისა პირველ ხარისხისა, სიგელი ანუ რესკრიპტი უწინდელებრ ჩვენ მიერ საკუთარ ხელმოწერილი უნდა მიეცეს.

2) ხოლო თუ ნაბოძებია ორდენი: თეთრის არწივისა, წმ. მოციქულთა სწორის თ. ვლადიმირისა მეორე ხარისხისა, წმ. ანასი პირველ ხარისხისა და წმ. სტანისლავისა მეორე ხარისხისა გარს-კვლავითურთ, სიგელი მიეცეს ორდენთა კაპიტულისაგან, იმ სახით, რაც სახეც არის ნაჩვენები იმავე ორდენთა დაწესებულების წესდ. მე-177 და 639 მუხ. დამატებაში, როგორის სამპერატორო და სამეფო ორდენთა კანცლერის მიერ ხელმოწერილი, ხოლო თუ ის არ შეესწრო, ორდენთა ობერ-ცერემონიმენტერის მიერ ხელმოწერილი და ორდენთა კაპიტულის საქმეთა მართველის მიერ შემოწმებული. ამა ორდენებით დაჯილდოების ნუსხა, როგორც სხვა ორდენებისაცა, მოქცეული იყოს ერთს საზოგადო ორდენთა კაპიტულის მიმართ ბრძანებაში, რომელიც ჩვენდა ხელ-მოსაწერად იქმნება წარმოდგენილი.

ორდენთა კაპიტულმა ამის შესახებ ჯეროვანი განკარგულება გასცეს.

ნამდვილს მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია:

„აღექსანდრე“.
15 ოქტომბერი 1892 წ.

მართლიანი



წე გარ წწების კეთილი: წწებისან კეთილმან სული თვის
დაჭიდის ცხოვართათვის, (ითა. 10—11).

გვივე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული
ცათა შინა, ერთიათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედოთ ჩემდა უოველი მაშუალნი და ტვირთ-მძიმენი
და შე განგისვენ თქვენ. (მათ. 11—28).

№ 7

1883-1892

15 აპრილი.

შინარსი. თვითიალური განუთვილება: უმაღლესი ბრძანებან.— უწმიდესი სიხარულებინა. სალიტერატურო განუთვილება: საქალებო ეპიკალური სასწავლებლის დაათხების გამო ქუთასში. — მიტრობილიტი დავითი. — ასალი მსხვერპლის მკითხვებისა. — ასალი ამშები და შენიშვნები. საწმუნოებრივი და ზნეობრივი განუთვილება: დადა მოწმე და ძლევამოსალი გილოვი.

საქალებო ეპარქიალური სასწავლებლის დამსახუ-
მისა დამო კუთასში.

1890 წელში იმერეთის ეპარქიის სამღვდელოე-
ბამ ერთ თავის კრებაზე დადგინა ქალაქ ქუთაისში
საქალებო ეპარქიალური სასწავლებლის დაარსება
მოსამართებელი კლასებით სახსოვრად იმერეთის
პისკობის გამრიელის თუ-და-ათი წლის სამსახუ-
რისა. სამღვდელოების ესეთი დადგენილობა დღეს
კვეთ დაამტკიცა უწმიდესმა სინოდმა. ჩვენმა მკითხვე-
რებმა უკვე უწყინ, რომ ამ ახლად დაარსებული
საქალებო სკოლის სასარგებლოდ იმერეთის სამღვდე-

ლოებამ შესწირა 45 ათასი მანეთი და თვითონ
უფლებად სამღვდელომ იმერეთის ეპისკოპოსმა გამოი-
ერმა—5000 მანეთი. სამღვდელოებამ ამავე დროს
სთხოვა ყოვლად სამღვდელოს, რომ მის მეუღებას
სტრუიცის სეული სახლები თავისი ეზოთი და საყ-
დრით გადაეცა სამღვდელოებისათვის. ამ სახით 50
ათასი მანეთი უკვე დადებულია ამ სასწავლებლის
ხელ-უხლებელ თანხად. ამ თანხის სარგებელი უნდა
მოხმარდეს ყოველ წლობით სასწავლებელს. გარდა
ამ ფულის სარგებლისა ამ სასწავლებელს ეპარქიის
წყაროებიდამ ექნება სხვა შემოსავალი 6 ათას მანე-
თამდე. საეჭვო არ არის, რომ ამა წლის სექტემბრი-
დამ გაისხება მოსამზადებელი კლასი და შემდეგ ში

თან-და-თან გაიხსნება შემდეგი კლასებიც. სასწავლებ-ბელში სწავლა გაგრძელდება რვა წელიწადი. თითო-ეულ კლასში სწავლა იქნება ორ წელიწადს, რო-გორც ეს არის მიღებული თბილისის დედათა ეპა-ქიალურ და სხვა ამ გეარ სასწავლებლებში.

მიუყლოცავთ იმერეთის ეპარქიის სამღვდელო-ებას ამ სასიხარულო ამბავს და ვისურვებთ, რომ ამ სასწავლებლებს მიერიქების ჩენი მოზარდი ქა-ლებისათვის ის გონიერივი და ზენობრივი სწავლა-გან-თლება, რომელიც ასე საჭიროა დღეს მათთვის. ჩენის აზრით ქუთასში დედათა ეპარქიალური სას-წავლებლის დარსება სასიხარულოა არა მარტო იმე-რეთის სამღვდელოებისათვის, არამედ მთელი დასავ-ლეთი საქართველოს სამღვდელო და საერთო წოდე-ბისათვის. ერთად-ერთი დედათა ეპარქიალური სას-წავლებლი, დაარსებული თბილისში, ვერ აკმაყო-ფილებდა მთელი საექსარხოსის სამღვდელოების სურვილს. ერთი რომ ამ სასწავლებელში ყველა მსურველთათვის არ იყო ადგილი და კიდეც რომ ყოფილიყო, დასავლეთი საქართველოს სამღვდელო-ებას ძლიერ ეძნელებოდა თავისი პატარა ქალების წაყვანა თბილისში, რომლის ჰავა და სასმელ-საჭმე-ლი ხშირად ძლიერ ცუდათ მოქმედებს იმერეთის, გურიის და სამეგრელოს ყმაწეილებზე. ჩენ ხშირად გვერდის ლაპარაკი ამ გარემოების გამო ზოგიერთ პირებთან და, გასაკვირია, რომ ვერ დააჯერებთ ზო-გიერთ შეუვნებელ პირთ, რომ თბილისის ჰავა და სასმელ-საჭმელი ძნელი ასატანია დასავლეთის საქარ-თველოს პატარა ყმაწეილებისათვის. მჭადს და ღოშს შეწეული ყმაწეილი ძნელად ეჩვენა პურს. ზოგიერ-თები ფიქრობენ, რომ დასავლეთ საქართველოში ე-თომ სილარიბისა გამო ხმარობრნენ სიმიდა და ღოშს. განსაკუთრებით რუსებს ვერ დააჯერებთ, რომ კაცს პურის გარდა სხვა რამე საზრდოოთ შეეძლოს ცხოვ რება. მათ ს. მიდი და ღოში მანებელ საზრდოოთ მი-აჩნიათ. ვინ მოსთვლის, რამდენი ყმაწეილი ხდება ავად თბილისში ჰავისა და სასმელ-საჭმლისაგან და მათში რამდენი ეთხოვება სიცოცხლეს. მადლობა ღმერთს, ღღეს ეს დაბრკოლებაც მოისპო და დასავ-ლეთ საქართველოს სამღვდელოებას შეუძლია თავის ახლოს გამოზარდოს თავისი ქალები და მუდმივი ყურად-ღება მიაქციოს მათ აზრიდის საჭმეს.

პირებულად ამ ახალს სასწავლებელში პანსიონი არ იქნება სასულიერო უწყების ღარიბ ქალთათვის.

მაგრამ ჩენი სამღვდელოება მიწევულია ყაირათობას და მომჭირნეობას. თუმცა მას ხშირად საშუალება არა აქვს შეილი გამოზარდოს, მაგრამ თავის შეძლებისა-და-გარად მაინც ცდილობს შეილი უსწავლელი არ დასტოვოს. თუმცა ამ ახალს სასწავლებელში პანსი-ონი არ იქნება, მაგრამ, იმედია, რომ მოთავე და სასწავლებლის გამგე პირების წყალობით მოხერხდე-ბა მოსწავლე ქალების სასწავლებლის შენობაში მი-ღება მათივე ხარჯით. ჩენ დარწმუნებული ვართ, რომ ბევრი იმისთანა მშობელი აღმოჩენება, რომე-ლიც თვეში თუმანს და ან ცოტა მეტს გადიხდის, ოღონდ მისი შეილი სასწავლებელშივე აცხოვეროს. ერთი თუმანი სრულებით საკმარის ერთი ყმაწეილის შესანახად თვეში სხვა ბავშებთან ერთად. მაგრამ ზოგიერთები მოუხერხებლობისა და მოუფიქრებლო-ბისა გამო ორ თუმანსაც ვერ აკმარებენ ერთ ბავშს თვეში. ვისაც პანსიონში უცხოერია, აღბად იცის, თუ რამდენი ფული იხარჯება იქ სასმელ-საჭმელში, მაგრამ მოწაფეები კი ზიზლით სჭამენ იქაურს საჭ-მელს, როდესაც აღვილად შეიძლება, რომ უფრო მცირე ფასით უფრო გემოიანი და სასიმოვნო საჭ-მელები მომზადდეს.

როგორც სჩან უწმიდესი და უმართებულები სინოდის უქაზისაგან ამ ახალ დამტკიცებული საქა-ლებო სასწავლებლის პროგრამიდამ გამორიცხულია მუზიკა, ფრანცუზული და ნემცური ენები და პედა-გოგიკა. ამ საგნების ნაცელად უმეტესი ყურადღება ექნება მიქულები ხელთ-საჭმრობას და ოჯახობას.

ვერ გავიგია, თუ რა პქონდათ სახეში, როცა საქალებო ეპარქიალური სასწავლებლის პროგრამმაში პირებულად შეიტანეს მუზიკის და უცხო ენების სწავ-ლება. საქალებო ეპარქიალურ სასწავლებლებს მიზ-ნად აქვთ მოამზადონ რიგიანი მეოჯახე დედები, როგორც სამღვდელო ისე სხვა პირთათვის, განსაკუთრე-ბით საულიერო წოდებისა... რა სარგებლობა უნდა მოუტანოს მღვდლის ცოლს მიყრუებულს სოფლებში, და თუ გინდ ქალაქებში ფრაცუზული და ნემცური ა-ენების შესწავლამ ამ საგნების სწავლებისათვის კარ-გა დიდი ფულები იხარჯება და სარგებლობა კი არა-ფერი სჩანს...

ერთ დიდ ნაკლს ენიშნავთ ჩევნ ეხლანდელი დორის სასწავლებლებში და იმედია, ეს ახალი საქალებო სასწავლებელი ასცილდება ამ ნაკლს.

ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ყმაწვილები უფრო კარგად ისტავლინ და მუყითი მშრომლები ვამოვლენ ცხოვრებაში სწავლის შემდეგ, თუ პატარაობიდამ მათ არაფრებში ნაკლებულება და სიღარიბე არ ვამოუცდიათ და პანსიონებში მშევნიერად და მდიდრულათ ყოფილიან შენახულნი. მაგალითად, სოფლის მღვდელს ანუ ერისკაცს მიჰყავს შეილი სასწავლებელში. შინ რომ ერთი თავი საჭმელი ჰქონდა ყმაწვილს და ჯანსაღად ცხოვრებდა, ქალაქში პანსიონში ან სასწავლებლის მთავრობისაგან მოწონებულს ბინებზე 20-ს და 25 მანეთს ართმევნ მშობელს ყმაწვილის მარტვა ჭმა-სმისათვის. მშობელს ეუბნებიან, რომ თითო იჯრაზედ უთუოდ სამი თავი შეჭამადი უნდა აძლიონ მის შეილს, დილით და საღმოთი ჩაი ფრანცუზული პურით და სხვა-და-სხვა.... მოწაფე განებიერებულია. პატარა ბავშვი ძლიერ ჩერა ეჩვევა განებიერებულ ცხოვრებას. დღესასწაულებში, როდესაც ეს ბავშვი ბრუნდება შინ, მასს აღარ მოსწონს თავისი პირებით სასმელ-საჭმელი და თავისი ღარიბი სადგომი. სწავლის გათავების შემდეგ გამოდის ცხოვრებაში, მაგრამ ვაი იმ გამოსხვლას! სასწავლებელში კარგ ცხოვრებას მიაჩვიეს, მაგრამ დღეს საშუალება არა აქვს, რომ სამ-სამი თავი შეჭა. მაღი მიირთვას ყოველ დღეს და ჩაეზედ ყოველთვის ფრანცუზული „ბულკი“ იხმაროს. 12 და ხან 15 წლის განმავალობაში ნებისმიერ ცხოვრებას მიჩვეულ ყმაწვილს კიდეც რომ ჰქონდეს ყველაფერი, იმისი მოხერხება არა აქვს, რომ თავისი საზრდო თეოთონებები მოიმზადოს და გაიკეთოს. დაკვირდით კარგად ღარიბობაში გაზრდილ ყმაწვილებს, და კარგად შეადარეთ ღარიბობაში გამოზრდილი მდიდრი ყმაწვილებთან და თქვენ დარწმუნდებით, რომ მათ შორის დიდი განსხვავება სუფექს. ამისთანა განსხვავებას ვხედავთ ჩევნ არა მარტო მოსწავლეთა შორის, არამედ სხვა-ებშიაც. ხშირად გვესმის საჩივრები მშობელთაგან, რომ ჩემი შეილი სულ გამიღუმეს სასწავლებელში, ამ სიტყვებს თავისი შიშეზი აქვს და საჭირო არის სასწავლებლების მართებლობაშ უფრადება მიაქციოს ამისთანა სამწუხარო ხმებს.

ამისთანავე ნაკლს ვხედავთ ჩევნ ზოგიერთ სა-კალებო ეპარქიალურ სასწავლებელებში.

უმთავრესი დანიშნულება დედათა საეპარქიო სასწავლებლებისა იმაში მდგომარეობს, რომ სწავლასთან ერთად შეასწავლონ ახალგაზრდა ქალებს სელსაქმობა და ოჯახობა. ამ ბოლოს ღრის დედათა საეპარქიო სასწავლებელში კურს დამთავრებულნი მღვდლის ცოლები ღვახობას აღარ კაღრობენ და სოფელში ცხოვრებას მშექდებელ საქმედ სთვლიან. ჩევნ ვიცობთ ზოგიერთ მღვდლებს, რომელნიც შეწუხებულნი არიან თავიანთ ნასწავლი ცოლების ნია-დაგრ თხოვნით, რომ ქალაქის ადგილას გადავიდნენ ისინი სამსახურში. შინ არიან ეს ქალები, რომელნიც სოფელში ცხოვრებას ვერ შეჩვევიან? ისევ სოფლის მცხოვრებლების ქალები, რომელთაც ქუთაისში უფასო სკოლის ერთი კლასი გაუთავებიათ...

ზოგიერთ დედათა ეპარქიალურ სასწავლებელებში ასწავლიან სელსაქმარს: ჭრას, კერვას და სხვ. მაგრამ ისეთ სელსაქმეს აჩვევენ, რომელიც სოფელში არა-სოდეს არ შეხვდება და ვერც საჭირო მასალას მოიპოვებ სიძირისა გამო. სასწავლებლის გამგეობაშ უმეტესი უურადება უნდა მიაქციოს მეოჯახეობას და ახალგაზრდა მიაჩიოს სოფლის ყველა სელსაქმობას და მეოჯახობას. სასწავლებელში უნდა მიაჩიოს მოსწავლე ქალები ჭრა-კერვას, და ოჯახის ყველა სელსაქმარს, მეფუტკრეობას, აბრეშუმის მოყვანას, წიწილების გამოჩევას, ძროხის წევლას, ერთი სიტყვით ყველა იმას, რაც ოჯახობაში აუკილებლად შეხვდება მათ. ამასთ, ნ მოსწავლებს უნდა შეასწავლონ გიგინური და საექიმო საჭირო დარიგებანი, რომ სოფელში თავიანთ თავს და თავის ბავშვებს თვითონ ვე მოუჟრონ და უპატრონონ. თუ ამას აასრულებენ და ამნაირად აღზრდიან მოზარდ ქალებს, მაშინ ეს ახალი სასწავლებელი ნამდგილ სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას და სამღვდელოება და საზოგადოებაც არ დაიშურნებს მისთვის თავის წვლილს და შეწირულებას. ღმერთმან ინგრძოს, რომ ეს ახალი სასწავლებელი დაარსებულიყოს საბენიეროდ და საკეთილ-დღეოდ ჩევნი მოზარდ ქალებისა და საზოგადოებისათვის.

1981 8 ქ. ლონგ 6 და 7

მიზანის დავითი.

(გაგრძელება *)

საქმები 1810—1820 წლებისა და ამ საქმეებში
მიტომოდიდის დავითის მოხაწილეობა.

1811 წელში ხალხი სრულიად დამშეიღდა, მაგრამ იმერეთის უბედურს მდგომარეობას მაინც ბოლო არ მოეღო: იმერეთში ამ დროს მძინვარებდა შიმშილი და ქამი. შიმშილობა ჩამოვარდა 1810 წელში, როცა არეულობისა გამო, პური შეუკრებელი დარჩა და მთლად აოხრდა მინდობრივე, ბალები და ხეხილები მთლად აოხრეს ჯარებმა, ლეინო დალია აჯანყებულმა ხალხმა და რუსის სალდათებმა. ამიტომ შემოდგომაზე 1811 წელს ბევრი მინდერები დაუთესელი დარჩა და რაც დათესილი იყო, ისიც გააფუჭა წყალდიდობამ, რომელიც მოხდა ივნისში და იყლისის თთვეებში 1812 წელსა. ეს ისეთი წყალდიდობა იყო, რომ აიგსო ყველა ხეობები. ამ წყალდიდობისაგან მრავალი კაცი და საქონელი დაიხოცა. ამ უბედურებას თან მოჰყვა ჭირი, რომელშიც მეტის-შეტად აოხრა იმერეთი. ერთ წელიწადში, სახელობრ 1811 წ., დაიხოცა 32,750 სული კაცი, გაიქცნენ იმერეთიდან 7350 კაცი. ორი წლის განმავლობაში იმერეთს მოკლდა თითქმის, ნახევარი მკიოდრი. ბევრს სოფლებში ასი კომლისაგან დარჩა მარტო ათი, და შიმშილიც ისე მძინვარებდა, რომ მამები თავიანთ შეილებს ჰყიდვენ, რომ ამით დაფურარათ შიმშილისაგან როგორც თავის-თავი, ისე მათი შეილები. ამ უბედურების დროს რუსეთი ძლიერ დაგეხმარა იმერეთის: ხალხს ეპატიე ყოველივე გადასახადი და უმაღლესი ბრძანებით რუსეთიდამ შემოიტანეს იმერეთში 10,000 ჩეტვერტი პური, რომელიც 160,000 მანეთი დაჯდა. აგრეთვე წელშიწადმ ბრძანა დაერიგებიათ უფრო გაჭირებულთათვის 10,000 მანეთი. პურის და ფულის დარიგება ხალხში მინდობილი ჰქონდა უფრო გავლენიან პირი, როგორც მინდობილი უბედურების დროს რუსეთი ან რუსეთის მიმართ გაემზარება რაჭაში და ბალდათში და გაფანტა მეამბოხენი. ზოგიერთი უმთავრესი მეამბოხენი განლევნილ იქნენ იმერეთიდან, სხვანი გაიქცნენ სათათერეთში და მათი ადგილ-მამულები, სახელობრ 527 კომლი შეირიცხა სახაზინოდ. იმ პირთა შორის, რომელიც ამ დროს ხელს უწყობდენ რუსებს, იყო აკრეთვე მიტობოლიტი დავითი, რომელთანაც ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონდა გენერალ-ლეიტენანტს ველიამინოვს, რომელიც უჩრევდა გენერალ პუზირეესკის, რომ მას ხშირად ეხელმძღვანელა მიტობოლიტის რჩევით და დარიგებით, რადგან მიტობოლიტი დავითი რუსების ერთგული იყო და აგრეთვე დიდი გავლენაც ჰქონდა იმერეთში. ასეთივე ერთგულება გაუწია რუსებს ნიკოლაშიდის მთავარ-პეისკოპოსმა სოფრონმა, რომელიც, რადგან დავით მიტობოლიტზე უფრო

თავის მონასტრის ჯრუჭის გლეხებს, რომელთაც უხვად ურიგებდა თავის საკუთარს ფულს და პურს. 1812 წელში შემოდგომაზე ქამია ცოტათი ფლო, მოსავალი კარგი მოვიდა და იმერეთმაც დაივიწყა თავის უბედურება, მაგრამ სრულიად მაინც ვერ მოისცენა. 1819 წელში იმერეთში მოხდა ამბოხება. ეს არეულობა გამოიწყვია ახალმა მმართველობამ და სასულიერო უწყებაში შემოდებულმა ცვლილებამ, რომელსაც ვერ შეეთვისა ხალხი. პოლკოვ-ნიკს პუზირეესკის ებრძანა, რომ დაეპატიმერებია უძალვერები დამზადები. 16 თებერვალს, 1820 წ. მთავარ-მართებელმა გენერალ ერმალოვმა გამოსცა პროკლამაცია, რომელშიც მთავარ-მართებელი სთხოვდა ხალხს დაშვიდებულიყო, რომ საჭირო არ გამხდარიყო იარაღის ხმარება და სასტიკად არ დასჯილიყონენ მოუსცენარნი. ამ პროკლამაციამ ხალხში ჯეროვანი გავლენა იქნია: მეამბოხენი დამშენდნენ და წავიდ-წამოეციდნენ თავიანთ სახლებში, მაგრამ რაჭაში და ბალდათში ამბოხება არ შესწყდა და საჭირო შეიქნა იარაღის ხმარება. მაგრამ ამავე დროს შტაბის უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ველიამინოვმა მისწერა პუზირეესკის, რომ იარაღის ხმარებამდე ერჩია მებოხეთათვის დაშვიდებულიყვნენ, და იარაღი არ ეხმარა, სანამ მეამბოხენი თავის მხრით და დაეცემოდნენ თავს რუსის ჯარს. მაგრამ როცა პუზირეესკის რჩევამ ვერ იმოქმედა ხალხზე და როცა თვითონ პუზირეესკიც მოკლეს გურიაში, მაშინვე იმერეთის მმართველად დაინიშნა პოლკოვ-ნიკი თავადი გორჩაკოვი, რომელიც ჯარით გაემზარება რაჭაში და ბალდათში და გაფანტა მეამბოხენი. ზოგიერთი უმთავრესი მეამბოხენი განლევნილ იქნენ იმერეთიდან, სხვანი გაიქცნენ სათათერეთში და მათი ადგილ-მამულები, სახელობრ 527 კომლი შეირიცხა სახაზინოდ. იმ პირთა შორის, რომელიც ამ დროს ხელს უწყობდენ რუსებს, იყო აკრეთვე მიტობოლიტი დავითი, რომელთანაც ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონდა გენერალ-ლეიტენანტს ველიამინოვს, რომელიც უჩრევდა გენერალ პუზირეესკის, რომ მას ხშირად ეხელმძღვანელა მიტობოლიტის რჩევით და დარიგებით, რადგან მიტობოლიტი დავითი რუსების ერთგული იყო და აგრეთვე დიდი გავლენაც ჰქონდა იმერეთში. ასეთივე ერთგულება გაუწია რუსებს ნიკოლაშიდის მთავარ-პეისკოპოსმა სოფრონმა, რომელიც, რადგან დავით მიტობოლიტზე უფრო

ცურ წლოვანებით, მთავრობაში ის დანიშნა იმერეთის შეპარქიის მმართველად, შემდევ ქუთათელის და გენა-თელის გაძევებისა. მიტროპოლიტი დავითი კი ისევ ჯრუჭის მონასტერში დარჩა. 1820 წელში მიტრო-პოლიტი დავითი დამტკიცებულ იქნა მიტროპოლიტად უმართებულესი სინოდისაცან.

1829 წელში მიტროპოლიტი დავითი დაინიშნა ჭყონდიდელის წოდებით მენენიულის ეპარქიის მართველად და განაგებდა ამ ეპარქიას თავადი ნიკო-ლოზ დაზიანის გარდაცვალებამდე, შემდევ კი მიტ-როპოლიტი დავითი ხელახლად დაბრუნდა ჯრუჭის მონასტერში და განაგრძო თავისი სასახლებლო მოღვაწეობა. უმაღლესმა მთავრობამ დაუნიშნა მიტ-როპოლიტი დავითს 1000 მანეთი პენსია და და-ჯილდოვა იგი მისი სამსახურისა და ლინგებისათვის. 1837 წელში მიტროპოლიტმა დავითმა მიიღო წმ. ანნის პირველი ხარისხის ორდენი, ხოლო 1843 წელში, მთავარ-ეპისკოპოსის სოფტორინის გარდაცვალების შემ-დევ დავითი დაინიშნა იმერეთის ეპარქიის მართველად, რომლის მართვის დროს დავითმა მიიღო წმ. ვლადი-მირის ორდენი მეორე ხარისხისა.

მე გავეცანი მიტროპოლიტს 1851 წელშა. წირვის შემდევ მან მიმიპატიუ თავის სახლში, რო-მელიც იდგა მდინარე რიონის მარჯვენა მხარეს, გორაზე ბაგრატის ძევლი ტაძრის ნანგრევების მან-ლობლად. მიტროპოლიტის სადეომი, მდიდრულად არ იყო მოწყობილი. თავისუფალს დროს მიტრო-პოლიტს უყვარდა სეირნობა გორებზე, საიდამაც დასკერდა ქალაქს და მის გარეშე ადგილებს. სასი-მოენო იყო მიტროპოლიტის გონიერი და ცოცხალი საუბრის მოსმენთ. მიტროპოლიტი იყო მაღალის ტანისა, გამხდარი, თვალები ჰქონდა გამჭრიახე, მიხრა-მოხრა ჰქონდა დიდებული და სასტიკი, მაგრამ ამ სასტიკობას ჰქარიადა მისი მომღიმარე სახე. მუსაიფის დროს მიტროპოლიტს უყვარდა ხუმრობა. მიტროპოლიტს არა ჰქონდა მიღებული უმაღლესი განათლება, მაგრამ ძლიერ გონიერი კაცი იყო. ქვეშეერთომებს მიტროპოლიტი ექცეოდა უბრალოდ, მაგრამ ხელ-ქვეითებს კი ძლიერ ეშინოდათ მიტრო-პოლიტის, რაღაც იგი მუდამ დაუღალუად ადევნებდა უყრადღებას მათ საქციელს და მოქმედებას. მიტრო-პოლიტს ძლიერ ეჯავრებოდა, როცა მასს სთხოვდენ გისმებს და ჯილდოებას და ან სამსახურში დაწინაუ-რებას. იგი იშვიათად ასრულებდა რომელიმე

პირის შუამდგომლობას, კიდევ რომ ეს პირი საპატიო კაცი ყოფილიყო. ამისთანა შემთხვევაში მთხველეს მიტროპოლიტი შემდევს პასუხს აძლევდა: «მე თვითონ უკეთესად ვიცი, ვინ არის შებრალების ლირისა და ან ვინ უნდა დაწინაურდეს სამსახურში?» ეპკლესის წესდევის მტკიცედ აღსრულება შეადგენდა მიტროპოლიტის უმთავრეს მოვალეობას. დიდი უუ-რადღება ჰქონდა მიქეცეული საეკლესიო ქონების ღირსეულად დაცახე. ამ საქმეში მიტროპოლიტი დიდ წინააღმდეგობას უწევდა თავის მახლობელ ნათესაცემს — და თუშეცა ისინი უყვარდა როგორც ნათესავნი, მაგრამ კანონის წინაშე მათი ძლიერი მოწინააღმდეგე იყო. ამისთანა სამართლიანი რამ მოქმედებით განსცენებულმა მიტროპოლიტმა ბევრი სიკეთე უყო იმერეთის ეპარქიას. სამღვდელოებას მიტროპოლიტი უყვარდა და დიდი მორიდება ჰქონდა მისი; ხალხი მიტროპოლიტის რჩევით და შთავონე-ბით აშენებდა ეპკლესიებს. ხის ეკკლესიების მაგიერ აშენებდენ ქვითკირისას, მონასტრებს ანახლებდენ; ყოველივე ამას თვალ-ყურს ადევნებდა მიტროპო-ლიტი და სადაც შეეძლო, კიდევ ეწეოდა ხალხს თავის შრომით და საშუალებით. ერთი სიტყვით, მიტროპოლიტი სჯიდა ყოველივეს და ყოველივეს მუდამ ყურადღებას აქცევდა. მაგრამ სასულიერო საქმების წარმოების დროს მიტროპოლიტის არ ავიწყდებოდა არც საქეცენო საქმეები. მას ჩვეულებად ჰქონდა შეეტყო, თუ როგორ სწარმოებდნენ სახელმ-წიფო საქმეები. ამასთან თვალ-ყურს ადევნებდა თავის სამშობლოს და ცდილობდა გაეგო ყველაფერი, რაც კი ხდებოდა საქართველოში, როგორ სწარმოებდენ სხვა-და-სხვა საქმეები და ან რა მდგომარეობაში იყო ხალხი ახალი მთავრობის ხელში. ამიტომაც მიტრო-პოლიტს ატყობინებდენ ყველაფერს. მიტროპოლიტი არ ერიდებოდა თავისი აზრის გამოთქმას, როცა ხედავდა, რომ საქმე სხვანაირად მიღიოდა. ამითი სარგებლობდენ მიტროპოლიტის მტკიცი და მისი სიტყვები მიჰქონდათ, სადაც ჯერ იყო და ცდილობ-დენ ჩაეგონებიათ მთავრობისათვის, რომ იგი სასარ-გებლო კაცი არ იყო რუსებისათვის. მაგრამ მე იმ წელიწადზე მეტი გავატარე მიტროპოლიტთან და გახელულად შემიძლია ესთქვა, რომ იქ, სადაც ში-ტროპოლიტი სარგებლობას ვერ ხედავდა, თავს აქვევდა და ხან თავის აზრსაც ცხადად და აშეარად გამოსთქვამდა ხოლმე. მაგრამ ამით მას რამე წინა-

აღმდევობის გაწევა კი არა ჰსურდა ეისთვინმე, მხოლოდ თავის აზრს გამოსთქვამდა, როგორც მევლი კაცი, რადგან მისთვის ბევრი რამ ახალი და მოულოდნელი იყო. ყოველს სასარგებლო საქმეს მიტროპოლიტი ეწეოდა და ხელს უწყობდა. როცა მიტროპოლიტმა შენიშნა, რომ თავადი მთავარ-მართებელი ცდილობდა მისდამი რწმუნებული მხარის დღეცეთილობისათვის, მიტროპოლიტმა უჩვენა სამხედრო გუბერნატორს მოხერხებული აღგილო გზა ტკეცილის გასაყვანად ქუთაისიდამ თბილისამდე და ფრიად მოწადინებული იყო ამ გზის ვაყვანას. მიტროპოლიტს უყვარდა გუბერნატორთან მუსაიფი; მისგან იგი ტყობილობდა სახელმწიფო საქმების მიმღინარეობას და ყოველივე შემწეობას აძლევდა გუბერნატორს ქუთაისში ბალის და ფერმის გაკეთების საქმეში. მიტროპოლიტს ძლიერ სასიმოვნოდ დაურჩა მთავრობის განკარგულება, რომლის ძალით საეკულესიო მიწები სახაზინოდ უნდა შერიცხულიყო. სრულებით ბერების საქმე არ არის სამსაჯულოებში სიარული და კლებებთან საქმის დაკავება გადასახადის გადახდევინების შესახებ, იტყოდა ხოლმე მიტროპოლიტი; მათ თავისი დრო უნდა მოახმარონ ლოცვას და კეთილს საქმეებს. მიტროპოლიტს ძლიერ მომეტებულად უყვარდა იმკრეთი. მაგრამ ამავე დროს იგი ცხადათ ხედავდა თავის სამშობლოს ნაკლულებათა და სლევნილა მაენებელ პირთ; მიტროპოლიტს არ მოსწონდა ხალხის უსაქმობა და წინააღმდეგობას უწევდა ყოველივე ამაო და ხალხის გამარიბებელ ძევლს ჩევულებას. მიტროპოლიტის უმთავრეს თეისებას შეადგენდა სიმართლე და მის მოვალეობათა მტკიცედ აღსრულება. მას ძლიერ უყვარდა ჭრუჭის მონასტრი და ცდილობდა, რომ ამ მონასტრში თავის შემდეგ დაეტოვებია გონიერი წინამდლვარი. «თორმეტი წელიწადია, რაც მუდამ ამისთანა კაცს ვეძებ,— მითხრა ერთხელ მიტროპოლიტმა, და ბოლოს, როგორც იქნა, ვნახე, — მაგრამ როცა ამ პირს ეს აღილო შევაძლივ, მან ზოგიერთი პირობები მომთხოვა, ამიტომ მე უარვეყავი ჩემი განზრახვა,

რადგან კარგმა ბერმა პირობები კი არ უნდა მოითხოვოს, არამედ მორჩილად უნდა აღასრულოს ყოველივე ის, რასაც მას აბარებს მისი სასულიერო მთავრობა. ერთხელ მიტროპოლიტი ერთ კაცს გზანიდა ერთ მაზრაში და როცა ამ კაცს მიტროპოლიტმა გზა დაულოცა, უთხრა: «მე ვიცი, რომ შენ პატიოსანი კაცი ხარ და ფულის სიყვარულისა გამოუსამართლოებას არ ჩაიდენ, მაგრამ როგორც კაცი, შეიძლება, უსამართლოება ჩაიდინო რამ, ამიტომ აირა დარაგებას მოვცემ: ერთდე მეგობრობას და ნათლიაობას ნუ გამოუდგები, ნათლიმამობა ჩვენში ცშირად უსამართლოებას ახდენს.

(შემდეგი უწევა).
+
ასალი მსხვერპლნი სოფლის მეითხავებისა,

ჟველამ იცის, თუ რა ზარალს აძლევენ ჩვენს სოფლელებს სოფლის მატუარა ექიმები და მეითხავები. ვინ არ იცის, თუ რა უბრალო ხარჯს სწევენ სოფლელები ავად-მყოფობის დროს ჩვენი მატუარა ექიმების და მეითხავების რჩევით, მაგრამ დღემდის კაცი უურადლებას არ აქცევს ამ ვაქხატონებს და ისინიც თავისუფლად მოქმედებენ უმეცარს და გაუნათლებელს ხალხში. ვინ მოსთვლის, რამდენი ავადმყოფი გამოუთხვებიათ სიცოცხლისათვის სოფლებს ექიმებს და მეითხავებს და რამდენი კაცი გაუდარისებიათ! ამ სამწუხარო მოვლენას უწინდელს დროში უურადლებას აქცევდა როგორც სასულიერო, ისე სახორციელო მთავრობა. დღეს კი ამ საგანზე ძალიან მცირე ურადლება არის მიქცეული. ბევრი მაგალითიდან რომ ზოგიერთ სოფლის მღვდლებს შეუპურიათ ზოგიერთი მაწანწალა ექიმები და მეითხავები

სა წარუდგენიათ ადგილობით სახორციელო მთავრობისათვის, რომელიც ანთავისუფლებს ამ პირთ და ურადვებას არ აქცევს მათ საქციელს. სწორედ ამ უზურადღებობის მიზეზი არის ის საზარელი მკვლელობა, რომელიც მოტლა სოფ-ლის მკითხავების მეოხებით 9 აპრილს ს. ტე-ლეტას. აი საქმე როგორ იყო:

სოფელს ტელეფაში (შორაპნის გაზრდაშია) სცხოვრებს გლეხი ზაქარია ცეითურიშვილი, რომელისაც ჰქავს ხუთი ქალი. ერთი თავისი ქალი ზაქარიამ მიათხოვა გლეხს გუპატაძეს ჭ, რადგან ზაქარიას ვაჟი არ ჰქავდა, ეს გუპატაძე ჩაისიდა სახლში. წარსულს წელში ზაქარიას ერთი ქალი ავად გახდა და ჰქიაზე შეირტა. დედ-მამამ იწყეს თურმე ზიარული მკითხავებთან, მკითხავებსაც ქალის ავადმყოფობის მიზეზად დაუსახელებიათ ავადმყოფის ბიცოლა და უთ-ქვამსთ, რომ ის გლაფატობსო. ამ ქალს მი-ვარდნია სახლში ავადმყოფის დედა და წასჩე-ბებია მასს. ამ ჩეუბის დროს ავადმყოფი ქალი შეწუხებულიყო და მედამიძახეს სანერია საზია-რებლად. მე მაშინვე მივედი და, როცა ვნახე, რომ ქალი ჰქიაზე არა მყოფელი იყო, ზიარე-ბაზე უარი ვუთხარი და ვურჩი; რომ ქალი ქუთაისში წაეუგანათ და ექიმებისათვის ეჩვენე-ბინათ. მაგრამ დედამ აი რა მიპასება: ჩემს ქალს გუდიანები მიწვალებენ, როგორც მით-ხრეს მკითხავებმათ. მე ავეხსენი მასს, რომ მკითხავებმა არათერი არ იციან, მხოლოდ ტეუ-ლად გატუებენ-თქო, და ოუ კიდევ მკითხავებ-თან დაიწურთ სიარული, მე ეკალესიაში აღარ შეგიშვებთ თქვენ. მაგრამ დედ-მამა კიდევ წასუ-ლიშვნენ მკითხავებთან, მათაც აზრი შეუცვლიათ და უთქვამსთ, რომ თქვენი ქალის ავადმყოფობის მიზეზი არის თქვენი სიძე, რომელიც თქვენთან ერთად სცხოვრებსო. როგორც კი გაუგია ეს ავადმყოფს, იგი მისულა სიძესთან და უთქვამს: ჩემი ავადმყოფობის მიზეზი შენა ხართ. სიძე

გაბრაზებულა, წამოუკლია ხელი რეოლუვერი-სათვის და გამოჰკიდებია ავადმყოფს. ქალი გა-რეთ გავარდნილა. ეს შეუნიშნავს ზაქარიას, მა-სულა სიძესთან და უთქვამს: მარცხი არათერი ჩაიდინო, შვილი! სიძე მობრუნებია და სიმამ-რისათვის უსროლია რევოლუვერი, ტევია ზაქა-რიას მოხვედრია მარცხება ძუძუს ქვეშ და მა-მინვე მიწაზე დაცემულა, შემდეგ რევოლუვერი უსროლია სიძესთავის და იქვე უსულოდ დაუცია იგი. ამ მკვლელობის შემდეგ კუპატაძე სა-დაც გადავარდნილია. საწეალი ზაქარია და დაც ცოცხალია, მაგრამ მომეტებულად იტანჯება.

აი რა უბეჭურება მოახდინა მკითხავების რჩევამ და დროა, დღეს მაინც ბოლო მოედოს მათ მოქმედებას.

მღ. ივ. სალაძე.

ასალი აშები და შენიშვნები.

ქალაქს ქუთაისში ამ წლის სექტემბრიდან თოი სასწავლებელი იხსნება. ერთი სამეურნეო სკოლა ჭ მეორე საქალებო ეპარქიალური სას-წავლებელი. სამეურნეო სასწავლებელს დიდი შემწეობა ადმოუჩინა როგორც ქალაქმა, ისე მოელმა საზოგადოებამ. ნე თუ ქალაქი რაიმე შემწეობას: არ ადმოუჩინს საქალებო სასწავლე-ბელს, რომელში მოსწავლე ქალებისაგან კარგი შესავალი ექნება ქალაქს. რიგია, რომ თავად-აზნაურობის ბანკმაც რაიმე საშეალება ადმოუ-ჩინოს ამ სასწავლებელს, რადგან ბანკის და-მარსებელთა შორის მრავალია სამღლელო პირნი.

* *

ამას წინეთ უკრნალს «საქართველოს მახარებელში» და გაზეთ «ივერია». მიც იუ გამოცხადებული შემდეგი: ჯურულების ეჭვების მდგრელი მაქსიმე გამო დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან და იმის ადგილას დაინიშნა სემინარის სტუდენტი ისიდორე ჰამიშვილი.

ჩვენ კი დარწმუნებით ვიცით, რომ პ. ისიდორე რამიშვილი არავის არ უკურთხებია მღვდლად და მასაც უკვირს ეს ამბავი, რადგან მას არავისთვის მღვდლად კურთხევა არ უთხოვია. ნუ თუ ამისთანა ცრუ ამბების გამოცხადება შეიძლება და ისიც გაზეთის ოფიციალურს განკუთილებაში?

ერთმა ახალ-გაზდა უმაწვილმა პეტრე პავლეს ძემ გელეიშვილმა გამართა სამტრედიაში ქართული წიგნების მაღაზია და ბიბლიოთება.

ამავე ადგილას როგორც გავიგეთ, წიგნის მაღაზიის გახსნა სურს პ. ხეთერელი.

პპრილის ცხრას, ღამის 10 საათზე, ქუთასში ცეცხლი წაეკიდა დავით კეპულაძის სახლს. ამ დროს პეტროდა ძლიერი ზენა ქარი. ქარისაგან გაძლიერებულმა ცეცხლმა მთლად გაანადგურა ამ საწყალი კაცის საჩინა-საბადებელი და მასთან იმსხვერპლა კეცულაძის ითხი წლის ბაეშვი, რომელიც სახლში დარჩენოდათ გარედ გამოვარდნას დროს. რომ გარეშე ხალხს არა, მთლად ამოიწოდენ სახლში, რადგან დაძინებული ყოფილიყვნენ. ცეცხლის მქრობელი რაზმი მაშინ მოვიდა, როცა ცეცხლმა თავისი ჰქნა და კიდეც ჩაჰქრა. სახლი დაზღვეული არ ყოფილა.

პეტერბურგიდამ ერთი საპატიო პირისაგან ჩვენ მივიღეთ 20 მანეთი დავით ალმაშენებელის სამლოცველოს განსაახლებლად და წმ. მოწამეთა დავით და კონსტანტინეს ლესკუმას მოსაპოებლად. ამ პირის ვინაობას თოვაცხადებთ თანახმად მისი თხოვნისა.

დაბა უკირილაში იორდანე ცერცვაძის და არდიშვილის მაღაზიებში ისყიდება ვერმორელის ვენახის მოსარწყავი მაშინები. აქვე მსურველთ შეუძლიათ უფასოდ მოიპოვონ დაბეჭდილი დარიგება მოსარწყავი წამლების შეზავების და ხმარების შესახებ. ასეთივე დარიგება მსურველთ შეუძლიათ უფასოდ მიიღონ უკირილაში დეკ. დამბაშიძისაგან და ქუთასში «მწყემსი». ს სუტამბაში.

**

ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდიათ შემდეგი წერილები: 1) კაცის მონასტრის წინამძღვრის პ. არქიმანდრიტის ნიკითორესაგან:

„მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ, ნება მოგვცეთ, რომ თქვენის პატივულების გაზეთის «მწყემსი»-ს საშუალებით გულითადი მაღლობა გამოუტარო ჩემის კრებულით ზუგდიდშიდ მცხოვრებს მეორე გილდის ვაჭარს სპილოდონ მარჯვზის ძეს ადეაძეს, რომელმაც რწმუნებულს ჩემდამო მონასტერს შემოსწირა ხომლი, ლირებული 50 მან. და სხვა ნივთები, ლირებული 30 მანეთად.

2) მღვდლის ფ. ბარბაქაძისაგან:

«საქარის წმ. გიორგის ეკვლების კრებული და მრევლი გულითად მაღლობას უძღვნიან ს. საქარასავე მცხოვრებს ადეაძეს თვევდორებს ძეს სამშერაძეს, რომელმაც შემოსწირა ამავე საქარის წმ. გიორგის ეკვლებისა: 1 ღილი კანდელი, ლირებული 25 მანეთისა; 1 საცეცხლური ღილი. 3 მან. და სრულიად 28 მან.

3) მღვდლის გიორგი გვაზაესაგან:

«უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიმობოთ, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით გულითადი მაღლობა გამოუტარო იმ პირთ, რომელთაც ერთი წელი სამღვდელო შესმოსელი შემოსწირეს ჩემდამო რწმუნებულს ქვედა თეკლათის მთავარ-ანგელოზის ეკვლების, ლირებული 71 მანეთად.

4) მღვდლის კონსტანტინე ბურჯანაძისაგან:

«მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიმობოთ, რომ თქვენი პატივულები «მწყემსი»-ს საშუალებით გულითადი მაღლობა შევსწირო უგანათლებულებს თავადს ნიკოლოზ დავითის ძეს მინგრელისკი, რომელმაც წარსულს წელში შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულს შტატის ეკვლების ერთი ძირითაში ხატი ყოვლად წმინდის ლეთის-მშობლისა».

სწავლია და მეცნიერება ქრისტიანობის სამართლებასა და ქრისტიანული ცხოვრებაზე.

წმ. მთავარ-მოწამე და მლევა მოსილი გიორგი.

შმიდა გიორგი სცხოვრებდა მეოთხე საუკუნის დასაწყისში, რომის იმპერატორის დიოკლიტიანეს დროს. გიორგი ყმაწვილი იყო, როცა მამა მისი აწამეს და მოჰკლეს ქრისტიანული საჩრდინობისათვის. გიორგის დედა, ქრისტიანულების შემდევ, დაწახობა - პალესტინაში, სადაც მას დიდი მამულები შენდა, წოლო ახალგაზრდა გიორგი შევიდა სამასტიურში მეფის ჯარში. ჯარის უფროსებმა მალე შენიშვნეს გიორგი და შეიყვარეს იგი მისი სიმშვერიერისა და მამაკანისათვის. ოცი წლისა იყო გიორგი,



როცა მან მიიღო ხარისხი სამხედრო ტრიბუნისა. ამ დროს გარდაიცვალა გიორგის დედა.

გიორგიმ მალე დაიჭირა მეფის ჯარში შესამჩნევა თანამდებობა და შეიქნა მეფის საყვარელი კაცი. დიოკლიტიანმა არ იცადა, რა საჩრდინოებას აღიარებდა გიორგი. ამ დროს გამოსცეს ფრიად სასტიკი კონცები ქრისტიანების წინააღმდეგ, ნაბრძნები იყო დაეწვათ ქრისტიანების წიგნები, დაენგრიათ მათი ტაქტები და თვითობა ისინი ეწამებიათ. როცა ყოველი ეს შეიტყო გიორგიმ, იგი მოემზადა სიკვდილისათვის. მან დაურიგა მეგობრებს ფულები და ძირფასი ნივთები, რაც კი ჰქონდა, განათავისუფლა

თავისი მოსამსახურენი და თავისი მამულები და ყოველი დაწარჩენი ქონება უანდერბა ლარიბა.

როცა ესეთი განკარგულება მოახდინა, ვაბედული ყმაწვილი უშიშრად გამოცხადდა სამეფო რეგისტრიში, რომელიც შეკრებილი იყო ქალაქს ნიკომიდიაში, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო ქრისტიანების ბედი და იღბალი. როცა გიორგი შევიდა რეგისტრი, ხმა-მაღლლა უთხრა იქ მყოფთ: «როდემდის გსურსთ შენ, მეფევ, და თქვენ, თავადნო და მრჩეველნო, კანონის სახელით, ჩაიდინოთ ბოროტი საქმები? როდემდის გსურსთ სდევნოთ უდანაშაულო და კეთილის მყოფელნი, ხოცოთ ქრისტიანები, ვითომც და მართლ-მსაჯულების სახელით, და აწამოთ ისინი, რომელნიც არავის შევრაცხებას არ აყრებენ, წინააღმდეგ, კეთილი ცხოვრების მაგალითს იძლევიან? თქვენ სცდებით, როცა თაყვანსა სცემთ კერპებს. ისო ქრისტე არის კეშმარიტი დმერთი. შეივნეთ კეშმარიტება, ან უ თქვენი უცოლინარობით ნუ აფრთხობთ მათ, რომელთაც შეიგნეს იგი».

ყველას გაუკირდა გიორგის მოულოდნელად რეგისტრი შემოსვლა და მისი გაბედული სიღყვები; კველანი გაჩუმდნენ და ელორნენ, რას იტყოლა მეფე. მაგრამ დიოკლიტიანე ისე გააცა გიორგის ამგვარმა გაბედულმა საქციოლმა, რომ დიღხანამდის ვერა სთქმა რა. ბოლოს მან ანიშნა თავის მეგობარს, პროკონ-სულს მაგნენტის, რომ მას პასუხი მიეცა გიორგის და ჰკითხა:

რამ გაგაბედეინა შენ ასეთი თავხედი საქციოლის ჩადენა?

— კეშმარიტებამ, მიუგო ყმაწვილმა.

— ეგ რა კეშმარიტება არის?

— კეშმარიტება არის თვით ქრისტე, დევნული თქვენგან.

— ნუ თუ შენც ქრისტიანე ხარ? ჰკითხა მალენტომ.

— მე ვარ მონა ქრისტე ლეთისა ჩემისა; მისი იმედით მე მოვედი თქვენს შეკრებილებაში. რათა ემოწმო კეშმარიტება.

შეიქნა ყვირილი, ლანძღვა, და დიღხანს ყურთა სმენა არ იყო. დაბოლოს დიოკლიტიანმა უბრძანა ყველას დაჩუმებულიყვნენ და ოვითონ დაიწყო:

— მე დიდი ხანი გიცნობ შენ, გიორგი, და პატივს ესცემ შენს მამაკანმა. მე შევნიშნე შენი ლირსება; მე პატივი გეცი თქვენ და მოგეცით უმაღლესი ხარისხი, და ეხლაც კიდევ მზად ვარ შენი უწინდელი სამსახურის სახსოვრად გაპატიო შენი თავხედი საქციოლი, როგორც მამა გიორგე შენ; ნუ დალუპა შენს ახალგაზრდებას, ნუ მოაკლებ შენს თავს ჩემის მოწყვეტებას, და ახლავე შესწირე მსხვერ-პლი ღმერთებს.



— მეფე! მიუგო გიორგიმ, — უკეთესია შენ თვითონ მოიძევ ჲე შეარიტი ღვთისადმი, და შესწირო მას შეხვევილი დიდებისა. იგი შენც ლირს გყოფს ზეციურ სასუფეველსა. ქვეწიური დიდება საუკუნო არ არის, სიმდიდრეც ამაռა; მასში არ არის ჲეშმა. რიტი ბერნიერება. არაეითარი ქვეწიური დიდების დაპირებას არ შეუძლია დამციროს ჩემი სიყვარული ღვთისადმი; არაეითარ წვალებას არ შეუძლია შემაშინოს მე და შეარყიოს ჩემი სული.

გაბრაზებულმა დიოკლიტიანმა ბრძანა ჩაეგდოთ გიორგი საპატიმროში. აქ, მეფის ბრძანებით, გიორგის გაუყრელების ფეხები დარიჯავში და გულებ და-ადევს მძიმე ლოდი. მაგრამ გიორგი მამულრად ით-მენდა წვალებას და მაღლობდა უფალს.

მეორე დილას დიოკლიტიანმა მოიხმო გიორგი და ჰკითხა:

— შეინანე შენ, თუ არა?

თუმცა ლაპარაკი არ შეეძლო გიორგის, მაგრამ მიუგო:

— ნუ თუ შენ ფიქრობ, მეფევ, რომ ამ უბრალო წვალებით უარესეყო მე ჩემი სარწმუნოება? შენ უფრო აღრე დაიღალები ჩემი წვალებით, მე კი და-ვითმენ ყოველივე ტანჯეას.

მაშინ დიოკლიტიანმა ბრძანა მოეტანათ ბორბალი, რომელზედაც დაგებული იყო მჭრელი ლურს-მები და დაეგლიჯათ ამითი გიორგი. ამ საშინელი წამების დროს გიორგის ხაცე არ ამოულია. პირველად ის ხმამალდა აქებდა უფალს, შემდეგ ჩუმათ ლოცვეილობდა და ბოლოს დალუმდა. უკელას ეგონა, რომ გიორგი მოჰკვდა, და დიოკლიტიანეც დასცინოდა ლეთის ძლიერებას და ამბობდა: „სადა არს ღმერთი შენი, გიორგი? რატომ არ გიხსნა შენ მან ამ წვალებათაგნ?“ შემდეგ მეფემ ბრძანა მოეხსნათ გასისხლიანებული სხეული მოწამისა ბორბლისაგან, თვითონ კი წაეიდა მსხვერპლის შესაწირავად აპლონის ტაძარში. როგორც კი მეფე მოშორდა გიორგის, მოისმა ქუხილი; ზეციურმა სხივმა გაანათლა მთელი მოედანი, და ყველას გახავებად მოისმა სატყები: «ნუ გეშანია, გიორგი! მე შენთანა ვარ». ტანჯულს გამოეცხადა ან გელოსი, დაადგა მას ხელი და განკურნა მისი ჭიილობანი. გიორგი თავის თავად ჩამოერდა ბორბლიდამ, აქებდა და ადიდებდა ღმერთსა. გაოცებულნი მხედარნი გაეშურნენ საკურპოსკინ,

რომ ეცნობებიათ მეფისათვის, რაც მოპდა. მათ უკან გაპყვა თვითონ გიორგიც.

მოხდენილი სასწაულის შეტყობიმ და გიორგის მოულოდნელმა გამოცხადებამ საკერპოში მოახდინა დიდი არეულობა. დიოკლიტიანე არ ერწმუნებოდა თავის თავს. მეფის ორმა წარჩინებულმა კაცმა, როცა დაინახეს გიორგი ტანმრთელი და მხნე, აღიარეს ძალა ღვთისა და ხმა მაღლა წარმოსთვეს: «მხოლოდ ერთი ღმერთი არის ჲეშმარიტი და დაღილმერთი ქრისტიანებისა». დიოკლიტიანმა მაშინვე ბრძანა ეწამებიათ ისინც. ბევრმა სხვებმაც ირწმუნეს ქრისტე, მაგრამ ცხადად ვერ ბედავდენ აღეარებიათ იგი. დიოკლიტიანეს მეუღლებამ, დელოფალმა ალექსანდრამ, რომელიც ამ დროს დაესწრო საკერპოში, აღიარა ჲეშმარიტება და სურდა ცხადად აღერებამ ღვთის სახელი; მაგრამ მის ურჩიეს დაბრუნებულიყო სასახლეში და მეფეს დაუმალეს, რომ მისმა მეუღლამაც აღიარა ჲეშმარიტი ღმერთი.

ღვთის ასეთში ძლიერებამ ერ ჩახედინა გულში დიოკლიტიანე. მან ბრძანა ჩაეფლათ გიორგი კირის ორმოში, გიორგი შეეველრა ღმერთსა, გამოისახა პირველად და წყნარად ჩავიდა ორმოში. რამოდენიმე დღის უკან დიოკლიტიანმა ბრძანა ამოელოთ ტანჯულის სხეული და გადაეყარათ მისი ძელები; მაგრამ ტანჯული ცოცხალი და ტანმრთელი დახედათ. გიორგი წყნარად ლოცვეილობდა, და მისი პირის სახე ბრწყინავდა ზეციური მხარულებით.

მეფემ გაგზავნა კაცი გიორგისთან საკითხავად, თუ რა მანქანების ძალით იფარავს ის თავის თავს.

ტანჯულმა მიუგო: «მე იმედი მქონდა, მეფევ, რომ ყოველივე მის შემდევ, რაც მოხდა, შენ არ გაბედავდი გმობას ჲეშმარიტი ღვთისას, რომელსაც ყოველივე შეუძლია და რომელიც სასწაულებრივად იფარავს მათ, რომელნიც მასზე სასოებენ. რაღან შენ ღვა ის ძლიერებას რაც მანქანებად, საჭირო არ არის პასუხი მოგცეთ; მხოლოდ შენი სიბრმავე მაწუხებს».

ამის შემდეგ დიოკლიტიანემ მოივონა ახალი სატანჯული. გიორგის ჩაცვე, გახურებული რკინის ფეხსაცმელი, რომელშიაც ლურსვები იყო თავ-ამოყოფილი. ამ ფეხაცმელებით ტანჯულს ათრევდნენ ქუჩა-ქუჩა და სასტიკად სცემდნენ; მაგრამ ამ ტანჯულს დროს გიორგი იმეორებდა შემდეგ იოტუვებს: «წავედ, გიორგი, და მიაღწევ», შემდევ ალიმალა გონება

წევთისადმი და შეეცდრა მასს, მიეცა მისთვის ძალა და მოთმენა. «გარდამოიხილე ზეციო, უფალო! იხილე შრომა ჩემი; ისმინდ თხერანი მონისა შენისა! მომიძულეს მე შენი წმ. სახელისათვის; შეირყა ხორცი ჩემი; განკურნე მე და მომეც მე მოთმინება». ასე ლოცვილობდა წმიდა მოწამე.

მჩაგალი ტანჯეს შემდეგ, დაქანცული მოწამე წაიყვანეს საპატიმროში. გიორგი თაგა არ ანგებდა ლოცვას, და, ღვთის მადლიო, მეყსეულად განიკურნა აგრ.

— ამის შემდეგ მას მოაყენეს ახალი ტანჯეა; მაგრამ გიორგი ყოველივეს მამაცად ითმენდა, და ძალა ღვთისა იფარავდა და ჰერინავდა მასს. იგი გაბედულად უმეორებდა განციფრებულ კერპთ-თაყვანის-მცემლებს, რომ არა მისნობა და კაცის ჩაიმე ძალა აძლევს მას ძალას, არამედ უფალი იფარავს მასს. «ვინც მასზე სასოდეს, ამბობდა გიორგი, ვრც ისმენს ღვთაებრივ სწავლას, მას არ ეწნის წევალებისა».

— რა სწავლა ეგ, ჰეკითხა მეფემ.

— გიორგიმ მიუყო, როცა უფალმა იხილა თქევი მოროვება, გვრევა ჩენ: «ნუ გეშინისთ მათი, რომელნიც წარსწყმედენ ხორცთა ოქვენთა, ხოლო რომელთა არა ძალ უძსი წარწყმენდა სულისა თქვენისა». უფალმა აღუთქვა დიდი სასყიდელი მათ, რომელნიც ასრულებდნ მის მცნებას, ღმერთმა რქა, რომ იგინი ღვთის შემწეობით ჩაიდენენ ისეთ საქმეებს, რომელიც შეუძლია მხოლოდ ღმერთს.

— რა საქმეებია ესეები? ჰეკითხა მეფემ.

— ჭრისტე ჰერინავდა სწეულთა, აღადგენ და მკვდართა, ანიჭებდა მხედველობას ბრძანა და ყრუთა სმენას.

გაიგონეს თუ არა ეს იქვე მყოფმა ქურუმებმა, უთხეს გიორგის, რომ მას აღედგინა მკედრეთით ერთი იმ დღეს გარდაცელილი. ამბობენ, რომ გიორგიმ, შემდეგ ხანგრძლივი ლოცვისა, აღადგინა მიცეალებული. მაგრამ ამ სასწაულმა კიდევ უფრო გააბრაზა მეფე. მან ბრძანა წაეყვანათ ტანჯული უკრვე საპატიმროში და ჰერილოდათ იგი იქ, ვიდრემდის მეფე არ დადგენდა, თუ როგორი სიკვდილით უნდა დასჯილიყო გიორგი.

მჩაგალნი ფარულად ნახულობდენ ხოლმე გიორგის საპატიმროში და სთხოვდენ მასს დარიგებას. გიორგი ებასებოდა მათ ჰეშმარიტ ღმერთზე, ურჩევდათ თვეი დაერწებით კერპთ-თაყვანის-მცემლობისა-

თვის, — და მჩაგალნი კერპთ-თაყვანის-მცემლინი მოიცნენ ჭრისტესადმი. საპატიმროში მიჰყადათ მჩაგალნი სწეულნი, რომელთაც გიორგი ჰერინავდა ლოცვით.

ზეპირგარდმოცემა მოგვითხოვთ, რომ, სხვათა შორის, მივიდა გიორგისთან ერთი საწყალი მიწის-მუშა, რომელსაც მოუკედა ერთად-ერთი ხარი. წმ. მოწამემ შეიძრალა საწყალი მიწის-მუშა და უთხრა მასს: «წალი სახლში, ჩემო ძმაო, შენი ხარი ცოცხალია». მიწის-მუშა დაერწმუნა წმიდანის სიტყვებს და, როცა ნახა, რომ მისი ხარი ცოცხალი იყო, იწამა ჰეშმარიტი ღმერთი და ხმა-მაღლა აღიარა თავისი საჩრწმუნოება, რისთვისაც იმასაც გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა. ამ შემთხვევისა გამო ჩენს ხალხს დღესაც სწამს, რომ დიდი მოწამე გიორგი იფარავს საქონელს უბედურებისაგან.

წმ. გიორგის გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა. დასჯის წინა დღით გიორგის გამოეკადა მაცხოვარი, რომელმაც გაამნენება იგი და აღუთქვა მას ზეციური ნეტარება. წმიდანმა სთხოვა საპატიმროილის ყარაულს მიეშვა მასთან ერთი მისი მოხუცებული მოსაშახურე, რომელიც დღე და ღამეს ატარებდა საპატიმროილის კარებთან. მოსაშახურე თვალ-ცრემლიანი დავარდა მოწამის წინაშე. გიორგიმ ანუგეშა იგი, სთხოვა აღსრულება თავისი ანდერძისა და გამოეთხოვა მასს.

სიკვდილით დასჯის წინ დიოკლიტიანეს კიდევ იმედი ჰქონდა, რომ როგორმე დაიყოლიებდა გიორგის, ამიტომ აღუთქვა მასს მდიდრული საჩუქრები და დიდი პატივის-ცემა, თუ იგი უარ-ჰერთვა თვის საჩრწმუნოებას. პასუხის მაგიერ, გიორგიმ უთხრა მეფეს წასულიყო აპოლონის ტაძარში. დიოკლიტიანეს გაეხარდა; მან იფიქრა, აღბად ტანჯულს ჰესურს ჩემი ბრძანები; აღსრულებათ; მაგრამ საკერპოში, მრავალი ცხოველი შეერებილებათა შორის, გიორგიმ იწყო კერპთ-თაყვანის-მცემლობის დაცინვა და ლოცვით შემუხრა კერპები. როგორც კი გაიგო ეს დედოფალმა აღექსანდრამ, მან განიზრახა თავის აღსრულების აღიარება. იგი მოვიდა ტაძარში და ხმა-მაღლა წარმოსთქვა: «ღმერთო, გიორგისო, შემიწყალე მე! ვინაიდგან შენ ხან ღმერთი ჰეშმარიტი და ყოვლად ძლიერი». გაათავა თუ არა ეს სიტყვები, იგი დაეარდა მოწამის წინაშე.

1892

გახელებულმა დიოკლიტანემ თავის მეულლესაც გარდაწყვიტა სიკედილით დახვა და ბრძანა წაეყვანათ ის გორგისთან ერთად დასასჯელ აღგილზე. დე-ფოფალს აპყრობილი ჰქონდა თვალები ზეცისადმი და ლოცვით მიღიოდა სასჯელის მისალებად. გზაზე, დაღლილობისა გამო, მან სთხოვა მხედარო, რომ ცოტა ხანს შეესვენებიათ იგი,— და მიეყრდნო რა კედელს, მან განუტევა სული. გიორგიმ, რომელმაც იხილა ესეთი მოსენებითი სიკედილი, აღიდა უფალი, ზა, როცა მივიდა და სასჯელ აღგილზე, წყნარად გაუშვირა თავი ჯალათის ნაჯახს.

უმეტესად დიდი მოწამე გიორგი გამოხატულია თეთრ ცხენზე მჯდომარე და შებით ჰკლაუს გველ-ვეშაპს. აი რატომ ხატვენ ასე დიდ მოწამეა.

ამბობენ, რომ იმ აღილის ცოტა მოშორებით, საღაც დაასაფლავეს გიორგი, ქალაქ ვირიტის მახლობლად, გამოლიოდა ტბილგან საშინელი გველი, რომელიც მუსრს ავლებდა მოელს არე-მარეს და აუზტებდა ჰაერს თავისი მამაკვლინებელი სუნით. იმ ქვეყნის მცხოვრებლებმა არ იცოდნენ, სად დამალოდნ ამ უბედურებას, და როგორც კერპო-თაყვანის. მცემლნი, რჩევას თხოვდნენ ქურუმება ურჩიეს მათ, რომ თითოეულს ოჯახს რიგ-რიგობით ეძლია თითო თავისი შეილი ამ გველისათვის. რაღან სხვა ხსნა აღარ იყო ამ უბედურებისაგან, მცხოვრებლებმა მიიღეს ეს რჩევა, და ყაველ დღეს ახალი მსხვერპლი მიჰყავდათ ტბის ნაპირას. ბოლოს რიგი შეხვდა იქაური მეფის ერთად-ერთ ქალსაც. ქალწული მიიყვანეს ტბის ნაპირას. იგი დიდის შიშით შოელოდა სიკედილს, ამ დროს უეპარდ გამოცხადდა დიდი მოწამე გიორგი, ასაც გამორდა უძირულის სახურა, თეთრ ცხენზე მჯდომარე და შეიარაღებული შეუბირა.

— რა გატირებს შენ? ჰკეთხა გიორგიმ ქალს.

— კეთილო ემაწვილო, მიუკო მ.ნ.—განმშორდი მაღე, რომ შენც არ დაღუპო ჩემთან ერთად. და ქალმა უამბო გიორგის უკველავე გველის შესხებ.

— ნუ გეშინია, ქალო, მიუკო გიორგიმ.

— ჰკეშმარიტი ღვთის სახელით მე გიხსნი შენ გველ-ვეშაპისაგან.

— არა, კეთილო მხედარო, მიუკო ქალმა, ნუ დაღუპავ შენს თაგეს. მე გამზადებული ვარ ხანგი ნედ; შენ მე ვერ მიხსნი, მხოლოდ შენს თავ ლუპავ!

წარმოსთქა თუ არა ეს სიტყვები ქალმა, დგან გამოჩნდა საშინელი გველ-ვეშაპი და უახლოვ-დებოდა ქალს. ქალმა ხმა-მალლა დაიყვირა: «გაიქეცა!» მაგრამ მამაცმა მხედარმა უფლისამ გამოიხახა პირჯვარი, მოუწოდა შემწედ წმ. სამებას, მამას, ქეს და სული წმიდას, შეუტოვა გველ-ვეშაპს და შებით მოჰკლა იგი. შემდეგ გიორგიმ უბრძანა ქალს, შემოქნენა მას თავისი წელსარტყმელი, მოება გველ-ვეშაპისათვის და წაერთია იგი ქალაქში. ქალმა აღასრულა მოწამეს ბრძანება.

გველ-ვეშაპი მრავალი ხალხის თანადასწრებით დასწევს. ამის შემდეგ უველა იქაურიმა მცხოვრებლებმა აღიარეს ქრისტეს სარწმუნოება.

ამ გველ-ვეშაპის ძლევისათვის და მრავალ ტანჯვა-წამების დამენისათვის წმიდა გიორგი იწოდება ძლევა - მოსილად და ითელება მხედართა მფარველად.

შესანიშნავია, რომ საქართველოში თითქმის უმეტესი ნაწილი ეკვლებობისა წმ. გიორგის სახელზე არიან აღშენებულნი, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. ამის მიზეზად ზოგიერთები ასახელებენ იმ გარემოებას, რომ კაბადოკიას და დასავლეთ საქართველოს ღილი ერთობა ჰქონდათ ერთმანეთში. ზოგიერთები ამჟირებენ, რომ ქართული ენა იცოდნენ კაბადოკიაშიო. აშისათვის დასაჯერია ის აზრი, რომ ჭმ. ნაჩამიც უკოდა ქართული ენა. ზოგიერთები მოგვითხოვდენ, რომ ჭმ. ნინა ნათეასვი იყო წმ. გიორგისა და ამის შემდეგ გასაკეირი არ არის, რომ მისგან გაქრისტიანებულ მხარეში მრავალს აღილას აღაშენეს ეკვლებობი დიდის მოწამის და ძლევა-მოსილის გიორგის სახელზე. ხენწება წმ. გიორგისა სრულდება 23 პრილს.